ავტომანქანაში მოთავსებული ლეგიონის ოპერატიულ მუშაკთა თანდასწრებით მოახდინა. სანდრო ჯაფარიძის თქმით, საგანგებო ავტომანქანაში ელაპა 1265 დოლარით ანუ 2719 ლარით მეტი ღირებულების ზედეები 9 მაცივარი და 10 საყინულე, ვიდრე ი.ბაბარამოვის მიერ წარმოდგენილ საბაჟო-საგვირთო დეკლარაციაა და ინვოისში იყო მითითებული. ამის გამო, როგორც გადაუდებელი შემთხვევა, აღნიშნული ტვირთი საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა მთლიანად ამოიღეს, დალუქეს და ხელშეუხებლობისათვის ემბინატ „იალბუზის“ გასამხედროებული დაცვის ჯგუფს ჩააბარეს. ამავე მოგვიანებ, ლეგიონის ოპერმუშაკებმა საბაჟოს ინსპექტორ ირამოვისა და საგანგებო ლეგიონის ოპერატიულ მუშაკთა თანდასწრებით ტვირთი ავტომანქანაში ხელახლა ჩაიტვირთა.

ამ ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, საბაჟო ინსპექტორმა მ.ურუშაძემ შპს „ასიას“ სახელზე მიღებული იმპორტული საქონლის რეალური ოდენობისა და სახეობის საბუთებში მითითებულთან შედარება საზოგადოების მენეჯერ ბატარი საქარხნო ლაბორატორიის, ურომლისოდაც ბეგონის კვანძის მუშაობა წარმოუდგენელია. დღეს ბევრი ასეთი კვანძი ახერხებს მუშაობას ულიცენზიოდ, გამკითხავი კი არავინ არ არის.

ყოველთვის მიკვირდა, რაგომ იყო გაჩერებული ტერიტორიულად ყველაზე ხელსაყრელ უბანში, დიდუბეში, ყოფილი კახოკის ქუჩაზე მდებარე „თბილმრეწვმშენი-3““-ის რკინაბეტონის აბსოლუტურად გამართული ქარხანა, ყველაზე გამორჩეული შესანიშნავი ლაბორატორიით. მიზეზი ერთია – გენერალური დირექტორის გენო ნიკარაძის მაღალი პროფესიონალიზმი და დიდი პასუხისმგებლობა. იგი უბრალოდ ვერ ეგუება ბეგონის დღევანდელ საბაბარო ფასებში, ხოლო მისი ხარისხის გაუარესებას კაგეგორიულად კრძალავს. ასე იქცევიან ჭეშმარიტი პროფესიონალები, რის გამოც თბილისში ბეგონის ბიზნესი ხელში ჩაუვარდათ არაპროფესიონალ, შემთხვევით პირებს.

მაქსიმალურ მოგებას გამოდევნებული არაპროფესიონალი სამშენებლო ფირმები ძირითადად მიეძალნენ ფალსიფიცირებულ ბეგონს და უდიდესი საფრთხის წინაშე დააყენეს მთელი ქალაქი, რადგან დღეს თბილისში უკვე ამშენებული თუ მშენებარე საცხოვრებელი სახლების უმრავლესობის რკინაბეგონის მზიდ კონსტრუქციებში ბეგონის მარკები სანახევროდაც კი არ შეესაბამება საპროექტო მაჩვენებლებს.

სამწუხაროდ, ეს კაგასტროფული ფაქტები არ ხსნარდეს, რადგან ხელს არ აძლევს არც ერთ მხარეს – არც ფალსიფიცირებული ბეგონის გამყიდველებს (მისგან ბეგონს აღარავინ აღარ იყიდის) და არც ამ ბეგონის მყიდველებს (ფალსიფიცირებული ბეგონით ამშენებულ საცხოვრებელ სახლებს ვეღარ გაყიდიან). ერთმანეთს მორის დაპირისპირება და საქმეების გარჩევა კი თურმე უკვე წლების განმავლობაში მიმდინარეობს.

ქვეყანაში როცა სახელმწიფო კანონები არ კანონობს, როცა გაუმართლებელ უმოქმედობას იჩენენ მშენებლობის სამინისტრო და თბილისის მთავრობა, მოქმედებას წყვეს ე. წ. „ქურდული კანონები“, რომელთა ადგილზე, თბილისში, აგლაძის ქუჩაზე მდებარე სახელმწიფო რეზერვების დეპარტამენტის კომბინატ „იალბუზის“ საწყობში შეესრულებინა, რომელიც შპს „ასიას“ იჯარით აქვს აღებული. როცა ინსპექტორი მ.ურუშაძე საბაჟო კონტროლის განხორციელებას იწყებდა, ამ დროს აგლაძის ქუჩაზე საგანგებო ლეგიონის თანამშრომლები მივიდნენ...

როგორც საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას საგანგებო ლეგიონის სპეციალურ დავალებათა სამმართველოს მე-4 განყოფილების უფროსმა სანდრო ჯაფარიძემ განაცხადა, მათ მიერ მიღებული ოპერატიული ინფორმაციით, საგანგებო ავტომანქანაში მეგი სამენელი იყო მოთავსებული ოპერმუშაკებმა საბაჟოს ინსპექტორ მ.ურუშაძეს ჩამოართვეს ი.ბაბარამოვის მიერ საბაჟოზე წარდგენილი დეკლარაცია და სხვა საბუთები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ საგანგებო ლეგიონის თანამშრომელთა ყველა მოქმედება კანონიერად სცნო.

შპს „ჯიფის“ ექსპერგიზისა და სერგიფიკაციის ბიუროს ექსპერგიზის აქტის თანახმად, შპს „ასიას“ სახელზე თურქეთის ფირმა „ტურფანდა ჯიდამ“ გამოგზავნა 20381 ლარის ღირებულების 135 ერთეული სხვადასხვა დასახელების საყოფაცხოვრებო საქონელი და არა 17662 ლარის ღირებულების 116 ერთეული, როგორც ეს გაფორმებულ საბაჟო დეკლარაციასა და სხვა დოკუმენტებშია მითითებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონტრაბანდულად შემოიგანეს 9 მაცივარი და 10 საყინულე. ამის გამო საგანგებო ლეგიონში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიების დასრულებამდე კომენტარისაგან თავს შეეკავებინ, თუმცა, ალბათ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ შპს „ასიას“ ჰყავს ისეთი „თოვლის პაპა“ ფირმა „ტურფანდა ჯიდის“ სახით, რომელიც გაგანია მაფუსულნი ჩვენც ასევე „ფემქანად“ თუ გამოგვიგზავნის მაცივრებსა და საყინულეებს, ნამდვილად არავის გვეწყინება.

ოთარ ტურაბელიძე,
საქინფორმის. კორ.

● ყოფილი დიქტატორი ბრძოლისათვის მოუწოდებს ერაყელ ხალხს
● პარტიზანული ბრძოლა ერაყში
● იტალიის პრემიერ-მინისტრის ხუმრობა კარგად ვერ გაიგეს

„ალ-ჯაზირამ“ ეთერით გადასცა სადამ ჰუსეინის ახალი მიმართვა

კატარეს თანამგზავრულმა ტელეარხმა „ალ-ჯაზირამ“ ეთერით გადასცა ერაყის ყოფილი პრეზიდენტის სადამ ჰუსეინის მიმართვის ტექსტი.

მიმართვაში პრეზიდენტი ალნიშნავს, რომ იგი ცოცხალია, თავს კარგად გრძნობს და კვლავ ერაყში იმყოფება. ჰუსეინი მოუწოდებს ერაყელებს დაიცვან „წინააღმდეგობის მებრძოლები“ და არ გაუწიონ დახმარება „ურჯულო ოკუპანტებს“, ანუ ამერიკელებს. „სადამმა დათმო ხელისუფლება, მაგრამ არ შეუნიშნია ამერიკელთა მუქარას“, – ხაზგასმულია მიმართვაში.

„მე მენგარეთით თქვენ, ჩემო საყვარელო ძმებო. მენგარეთით, თუმცა კვლავ თქვენს გვერდით ვარ“, – ამბობს ადამიანი, რომლის ხმა წაადგას სადამ ჰუსეინის ხმას.

„მე ჯერ კიდევ ერაყის პრეზიდენტი ვარ. ძმებო და დებო, მხურს გაცნობოთ კარგი ახალი ამბავი: შეიქმნა ჯიჰადის უჯრედები და ბრიგადები. ჩვენ დავთმეთ მთავრობა, მაგრამ არ გვაბავუსეთ საკუთარი პრინციპებიდან. ჩვენ უარი ვთქვით ჩაჯჭიდებოდით ხელისუფლებას, რადგან ეს ამერიკელთა მუქარისადმი დამორჩილება იქნებოდა“, – ჩაწერილია კასეტაზე.

„ალ-ჯაზირას“ ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ ფირი ჩაწერილია მიმდინარე წლის 14 ივნისს. როგორც „ალ-ჯაზირას“ შეფ-რედაქტორმა იბრაჰიმ პალალმა განაცხადა, ეჭვს არ იწვევს, რომ ფირზე მართლაც სადამ ჰუსეინის ხმა არის ჩაწერილი. „ტელეფონით დაგვირეკა უცნობმა პირმა და მოგვასმენინა ჩანაწერი. ჩვენ იგი გადავიწერეთ და გადავეცით ეთერით. ჩვენ არ ვიცით, თუ ვინ იყო ეს ადამიანი, ან საიდან გვირეკავდა იგი. მაგრამ არა გვაქვს საფუძველი შევიგანოთ ეჭვი იმაში, რომ ფირი ნამდვილია“, – თქვა პალალმა.

ამერიკის შეერთებული მგაგების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ექსპერტებმა დაიწყეს იმ ვიდეოკასეტების შესწავლა, რომლებზეც ჩაწერილია სადამ ჰუსეინის გამოსვლები. როგორც ჟურნალისტებს აცნობეს ამერიკის სადაზვერვო უწყების წარმომადგენლებმა, ისინი ცდილობენ დაადგინონ, ნამდვილად ეკუთვნის თუ არა ჰუსეინს ფირზე ჩაწერილი ხმა და როდის გაკეთდა ეს ჩანაწერი.

შეგახსენებთ, რომ ერაყში ამერიკელთა ჯარების სარდლობამ დააწესა ჯილდოდ – 25 მილიონი ამერიკული დოლარი – ისეთი ინფორმაციის მიწოდებისათვის, რომელიც ამერიკელებს მისცემს საშუალებას დააკავონ ერაყის დამხობილი ლიდერი, ან, რომელიც დაადასტურებს იმას, რომ სადამ ჰუსეინი ცოცხალი არ არის. შედარებით მცირე გასამრჯელო – 15 მილიონი დოლარი ელის იმ პირებს, რომლებიც დაადასტურებენ სადამ ჰუსეინის ვაჟების – უდეისა და კუსაის სიკვდილის ფაქტს, ან დეხმარებიან კოალიციის ძალებს მათ დაკავებაში.

სადამ ჰუსეინი რომ ცოცხალია, ეს ჯერ კიდევ 24 ივნისს განაცხადა ერაყის პრეზიდენტის ყოფილმა პირადმა მდივანმა აბიდ ჰამიდ მაჰმუდ ალ-თიქრითიმ, რომელიც კოალიციის ჯარებმა დააპატიმრეს. როგორც გენერალმა თქვა, მან ნახა ჰუსეინი აპრილის დამდეგს, ანუ მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა ორჯერ სცადეს მისი მოკვლა საჰაერო დაბომბვის გზით. ყოფილი პრეზიდენტი და მისი ორი ვაჟი ცალ-ცალკე იმალებიან.

როგორც ცნობილია, ეს ერაყის ყოფილი დიქტატორის პირველი მიმართვა არ გახლავთ, მაგრამ აქამდე, სადამ ჰუსეინი მხოლოდ წერილობითი ფორმით ამყარებდა. სადამ ჰუსეინის ბოლო წერილი 14 ივნისს გამოაქვეყნა ლონდონში გამომავალმა არაბულმა გაზეთმა „AL Quds AL Arabi“.

ამავე დროს, ერაყის პრეზიდენტის საპროგოკოლო სამსახურის ყოფილი მეფი პაიტემ ალ-ვაპიბი, რომელიც ამ სამსახურს 1980-92 წლებში ხელმძღვანელობდა, გაზეთ „აშარქ ალავსათისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აცხადებდა, რომ ზემოაღნიშნულ წერილებში ამა თუ იმ პირის გვარის დაწერისას დამვუფლია რამდენიმე ისეთი უხეში შეცდომა, რომლებსაც არასდროს დაუშვებდნენ ერაყელები.

„ალ-ვაპიბის თქმით, წერილებში ჩამოყალიბებული ფორმულირება, მათი ლექსიკა და სტილისტიკა სრულიად არ შეესაბამება მისთვის კარგად ნაცნობ შგამპეს, რომლებსაც იყენებდა პრეზიდენტი მიმოწერის დროს.

ალ-ვაპიბის მიაჩნია, რომ წერილები დაწერეს ერაყის ყოფილი პრეზიდენტის ვეგთან, უდეი ჰუსეინთან დაკავშირებული იორდანელების ჯგუფის წევრებმა.

კულტურის დესპანი სტავროპოლში

ნინო ლარსაძე, ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციული ტექნოლოგიების ცენტრის ინჟინერ-პროგრამისტი:

**– ბატონო ოთარ, ეროვნული ბიბლიოთეკა ბოლო ორი კვირის განმავლობაში ორ ფესტივალზე, ორ ინტელექტუალურ ფორუმზე ... ეს ... ეს ... ეს

საქართველოს რესპუბლიკა
№ 176. კვირა, 6 ივლისი, 2003 წელი.

სპეციალისტის აზრი

ჩაის პლანტაციებში ქიმიური მეთოდის გამოყენება იძულებითი ღონისძიებაა

პარბისთვის დასამალი არ არის, რომ XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სუბტროპიკული ზონა დაჭაობებული ნიადაგებისა და მალარიის კერა იყო. სოფლის მეურნეობის მეცნიერთა პირველი თაობის ძალისხმევისა და პრაქტიკოსთა თავდადებული შრომის შედეგად ეს მხარე ჩაის, ციტრუსების და სხვა სუბტროპიკული კულტურების სამეურნეო მასშტაბით წარმოების მხარედ იქცა.

მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის აღორძინდელ და ახლანდელ მდგომარეობას, მათი განვითარების პერსპექტივებს თუ განვიხილავთ, მრავალ ურთიერთგამომრიცხავ შეხედულებას წავაწყდებით. ჩემთვის, როგორც სოფელში გაზრდილი ადამიანისთვის, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ჩაისა და ციტრუსების გაშენებისა და მოვლა-მოყვანის სამუშაოებში, ძნელი არ არის დავინახო, როგორ შეცვალა ამ კულტურების სამრეწველო მასშტაბით გაშენებამ და განვითარებამ სოფლის მცხოვრებთა ეკონომიური პირობები და კულტურული დონე. გარდა ამისა, ანასეული (ოზურგეთის რაიონი) ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში 50-წლიანი სამეცნიერო მოღვაწეობის განმავლობაში მგკიცედ დავრწმუნდი, რომ დასავლეთ საქართველოში ჩაის, ციტრუსებსა და სხვა სუბტროპიკულ მცენარეებს ალტერნატივა არ გააჩნიათ.

ყოველივე ამის მიუხედავად, რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს. საბოგადოების ერთი ნაწილი ამ დარგის განვითარების 70-წლიან მონაპოვარს ხელაღებით უარყოფს, მოგიერთი მათგანი კი (მათ შორის მეცნიერებიც) ჩაის ამოძირკვას და ტყემლის ან ერთწლიანი მცენარეების (სიმინდი, ლობიო, სოიო) მოყვანას უჭერს მხარს. ასეთი ადამიანები, როგორც ჩანს, ვერ აცნობიერებენ ჩვენი ქვეყნისთვის სუბტროპიკული კულტურების ისკორიელ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას.

სრული დარწმუნებით ვიმეორებ, რომ აბრთა სხვაობის მიუხედავად, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების განვითარების ისტორია მეგად მნიშვნელოვანი, უადრესად დადებითი იყო მეოცე საუკუნის საქართველოსთვის.

შემთხვევითი არც ის ფაქტია, რომ ამ კულტურების შემდგომ განვითარების საკითხი რამდენჯერმე ჩვენი მთავრობის მსჯელობის საგანი გახდა.

დასანანია, რომ ამ ძვირფასი კულტურების აღდგენა-განვითარებისათვის ჯეროვნად და მიზანმიმართულად არ არის გამოყენებული ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მეცნიერული პოტენციალი: აგროგეენეკიის, აგროქიმიის, მცენარეთა დაცვის, სელექციის მექანიზაციის, ჩაის ტექნოლოგიის, ახალი სახეობის პროდუქციის და სხვა განყოფილებები ის სამეცნიერო დანაყოფებია, რომლებსაც ხელეწიფებათ სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტა.

ამ სამეცნიერო ცენტრში სპეციალისტთა ნაყოფიერი მუშაობით, მრავალწლიანი ექსპერიმენტებითა და ფუნდამენტური გამოკვლევებით მიღწეულია თვალსაჩინო შედეგები, რომლებიც ჩაის, ციტრუსების, კვითილმობილი დაფნის, სუბტროპიკული ხურმის, ფეიხოას, ტუნგოს, მუშმალაცა და ბამბუკის აგროწესებში აისახა.

რესპუბლიკაში მომხდარი პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებების შედეგად მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის ძირითად რეგიონებში, სამწუხაროდ, დროებით შეიზღუდა სახელმწიფო მბრუნველობა სოფლის მეურნეობის ამ დარგის მიმართ, რამაც გამოიწვია ამ ძვირფასი კულტურების დაკნინება, მათი მოსავლიანობის შემცირება და პროდუქციის ხარისხის გაუარესება, რაც ობიექტურმა და სუბიექტურმა მიზეზებმა განაპირობეს. მათ ჩამოთვლას ახლა არ შევუდგები, რადგან ამის შესახებ „საქართველოს რესპუბლიკაც“ ბევრჯერ წერდა.

ამ ბოლო ხანს ბევრი უარყოფითი აზრი გამოითქვა სოფლის მეურნეობაში ქიმიური ნივთიერებების გამოყენების თაობაზე. თავის დროზე მწვანეთა მოძრაობის მიერ წამოჭრილ ამ საკითხს მკაფიოდ და დამაჯერებლად გაეცა პასუხი – სოფლის მეურნეობის ისეთ დარგებში, როგორიცაა მევენახეობა, მეხილეობა, მეჩაიეობა და მეციტრუსეობა, ქიმიური სამუალებების (პესტიციდები, მინერალური სასუქები) გამოუყენებლად შეუძლებელია მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მიღება. განსაკუთრებით ეს ითქმის ჩაისა და სუბტროპიკულ მცენარეებზე, რომლებიც ძირითადად მწირ ნიადაგებზეა გაშენებული.

ახლა აღარავინ დავობს იმაზე, რომ მავნებელ-დაავადებულთა წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური მეთოდის გამოყენება იძულებითია, მაგრამ აუცილებელი ღონისძიებაა.

დარგობრივი კვლევითი ინსტიტუტების მეცნარეთა დაცვის სპეციალისტების მოვალეობა სწორედ ის გახლავთ, რომ პესტიციდები გამოიყენონ ადამიანისა და მეცხარისათვის უსაფრთხო კონცენტრაციებითა და დოზებით. ყველა პესტიციდი წინასწარ უნდა იქნეს გამოცდილი ადგილობრივი ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა და მცენარეთა თავისებურებების გათვალისწინებით. თანაც ქიმიური სამუალებები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ, როცა სხვა მეთოდები (აგროტექნიკური, სანიგარიულ-პიგიენური, ბიოლოგიური) ვერ იძლევა სასურველ შედეგს.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს, წესრიგი დაამყაროს საზღვარგარეთიდან პესტიციდების შემოგანასა და გამოყენებაში. მიგვაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება დროულია, რადგან აქამდე არ ხდებოდა იმპორტული მხამქიმიკატების გამოცდა ცალკეული კულტურებისა და გარემო პირობების გათვალისწინებით.

ამასთან, საკარანტინო სამსახურის მეცნიერულ დონეზე წარმართვის, მავნე ორგანიზმების გავრცელების თავიდან აცილებისა და ელიგური სარგავი მასალის მიღებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩვენი გაერთიანების სუფსის საცდელ ნაკვეთზე მოეწყოს სანერგე მეურნეობა. ვფიქრობ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია იზრუნებს ამ დიდად მნიშვნელოვანი საქმის ფინანსური უზრუნველყოფისათვის.





ვახტანგ მაკერვალი,
ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მეცნარეთა დაცვის განყოფილების გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ადამიანი დროში

გაიღიმეთ, პოლკოვნიკო!

ერთი შეხედვით მკაცრ შთაბეჭდილებას სტოვებს, საკმარისია დაგელაპარაკოს, გაიღიმოს, რომ სიმკაცრე საერთოდ იკარგება და თქვენს წინაშე სასიამოვნო გარეგნობის, შეტად დახვეწილი ქალბატონი, პოლიციის პოლკოვნიკი მანანა მოსულიშვილი რჩება. იგი გამორჩეული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში, განსაკუთრებით კი პოლიციის აკადემიაში. ხუმრობა ხომ არაა, 27 წელი იმსახუროს ღირსეულად. დამეთანხმებით, ეს არცთუ ცოტა დროა იმისათვის, რომ ავტორიტეტი მოიხვეჭო და შენი ადგილი დიმკვიდრო.

ქალბატონი მანანა თბილისში დაიბადა და გაიზარდა. ბავშვობიდან სპორტი იგაცებდა. კალათბურთს თამაშობდა. ერთხანს დედაქალაქის, შემდეგ კი რესპუბლიკის ღირსებას იცავდა. ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა და რომ არა ერთი შემთხვევა, პროფესიას ნამდვილად არ შეიცვლიდა: სტუდენტობის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა პროფესიულ-ტექნიკურ ღონისძიებებში, რომელსაც იმჟამად მილიცია აგარებდა. ერთ-ერთი რეიდის დროს საბუთები დაკარგა. მათ შორის – პარტბილეთი. შეშინებულმა მილიციას მიაკითხა. ორ საათში ორჯონიკიძის (ვაკის) რაიონის მილიციელებმა დაკარგული დაუბრუნეს. იმ დღიდან უფრო აქტიურად ჩაება მილიციის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში, დიდი სურვილი გაუჩნდა დახმარებოდა უსამართლოდ დაჩაგრულს, დაეცვა და გვერდში დადგომოდა...

გავიდა ცოტა ხანი და მას სამსახური შესთავაზეს. სიხარულით დათანხმდა. 23 წლის მწვრთნელ-პედაგოგი მილიციის ბავშვთა ოთახის ინსპექტორად დაინიშნა. ალლოალებულმა ლეგენდანგმა მალე სამოქმედო უბანში ძნელადალაზრდელთა რიცხვი მინიმუმამდე დაიყვანა, უბანში ყველას თავი შეაყვარა. დაანინაურეს...

ამ თავისუფალ საქართველოში თავისუფალი გაგლა-გამოვლა აგვიკრძალეს. ნახეთ ერთი, რა ამბავია, შეგროსადგურების გასასვლელებში. გული რომ მიგდიოდეს, ნაბიჯს ვერ აბჩერებ. სახელდახელო საგაგრო დახლებში კაცის გავლა კი არა, თაგვის გაბრობაც გაჭირდება.

არა, სხვა გზა რომ არ იყოს, კიდევ ხელს ჩავიქნევდით, მაგრამ... მეგროსადგურ „დიდუბესთან“ იმხელა ბაზარი დასცეს, ლამის „დეზერტირებს“ გაუტოლდეს. და ასეთ დროს მეგროსადგურის შესასვლელები და კიბეები მაინც გადაეგდილია სამრეწველო თუ საკვები პროდუქტებით. ნეგა რაღას ვუცდით, თუ „მარჯანიშვილთან“ და „სარაჯიშვილთან“ ეს ზედახორა ავლაგმეთ, რაგომ „დიდუბესაც“ არ მივხედავთ?

ნინო კაპანაძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.

მეინსტიტუტე

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად:

1. ინდმეწარმე ირაკლი ბერიძის მიერ წარმოდგენილია II კატეგორიის საქმიანობაზე ქ. ახალციხეში „საგბორე მეურნეობის და სხვა სასოფლო დანიშნულების დამხმარე ნაგებობების პროექტი სოფ. მინაძის ტერიტორიაზე“.

2. ინდმეწარმე რუსუდან დიასამიძის მიერ წარმოდგენილია II კატეგორიის საქმიანობაზე, „ქ. ფოთში გამაგრილებელი უალკოჰოლო სასმელების ჩამოსხმის პროექტი“.

საპროექტო დოკუმენტაციების გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია ა. წ. 21 აგვისტომდე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პრესცენტრში, თბილისი, კოსტავას № 68ა, VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტში, თბილისი, ფალიაშვილის № 87, ტ. 25-02-19.

საჯარო განხილვა შედგება 2003 წლის 21 აგვისტოს, 12.00 საათზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი.

ბაერის განვითარების პროგრამის პროექტები GEO/97/003 „დახმარება საქართველოს სახალხო დამცველს“ და GEO/03/002 „საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონალური და სპეციალიზებული ცენტრები“

აცხადებენ ტენდერს

სახალხო დამცველის კვარგალური ჟურნალის „თქვენი უფლებების“, საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშის ქართული და ინგლისური ვერსიებისა და წიგნის დასაბეჭდად.

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 8. წლის 11 ივლისი, 10.00.

წარმოადგენილი განაცხადები დახურულ კონვერტებში.

დაწვრილებითი ინფორმაცია განთავსებულია გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს სახალხო დამცველის ინტერნეგ-გვერდებზე: www.undp.org http://geopdo.org

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ პროექტი GEO/97/003-ს მედა ოფიცერს ეკა ახალკაცს:

თბილისი, სახალხო დამცველის ოფისი, მაჩაბლის ქ. 11, მე-4 სართ., ოთახი 405, ტელ: 93-92-14, ტელ/ფაქსი: 92-24-81.

რეპლიკა

ბარემ „დიდუბესაც“ მივხედოთ

ეს ბოლო ხანს ბევრი უარყოფითი აზრი გამოითქვა სოფლის მეურნეობაში ქიმიური ნივთიერებების გამოყენების თაობაზე. თავის დროზე მწვანეთა მოძრაობის მიერ წამოჭრილ ამ საკითხს მკაფიოდ და დამაჯერებლად გაეცა პასუხი – სოფლის მეურნეობის ისეთ დარგებში, როგორიცაა მევენახეობა, მეხილეობა, მეჩაიეობა და მეციტრუსეობა, ქიმიური სამუალებების (პესტიციდები, მინერალური სასუქები) გამოუყენებლად შეუძლებელია მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მიღება. განსაკუთრებით ეს ითქმის ჩაისა და სუბტროპიკულ მცენარეებზე, რომლებიც ძირითადად მწირ ნიადაგებზეა გაშენებული.

ახლა აღარავინ დავობს იმაზე, რომ მავნებელ-დაავადებულთა წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური მეთოდის გამოყენება იძულებითია, მაგრამ აუცილებელი ღონისძიებაა.

დარგობრივი კვლევითი ინსტიტუტების მეცნარეთა დაცვის სპეციალისტების მოვალეობა სწორედ ის გახლავთ, რომ პესტიციდები გამოიყენონ ადამიანისა და მეცხარისათვის უსაფრთხო კონცენტრაციებითა და დოზებით. ყველა პესტიციდი წინასწარ უნდა იქნეს გამოცდილი ადგილობრივი ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა და მეცნარეთა თავისებურებების გათვალისწინებით. თანაც ქიმიური სამუალებები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ, როცა სხვა მეთოდები (აგროტექნიკური, სანიგარიულ-პიგიენური, ბიოლოგიური) ვერ იძლევა სასურველ შედეგს.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს, წესრიგი დაამყაროს საზღვარგარეთიდან პესტიციდების შემოგანასა და გამოყენებაში. მიგვაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება დროულია, რადგან აქამდე არ ხდებოდა იმპორტული მხამქიმიკატების გამოცდა ცალკეული კულტურებისა და გარემო პირობების გათვალისწინებით.

ამასთან, საკარანტინო სამსახურის მეცნიერულ დონეზე წარმართვის, მავნე ორგანიზმების გავრცელების თავიდან აცილებისა და ელიგური სარგავი მასალის მიღებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩვენი გაერთიანების სუფსის საცდელ ნაკვეთზე მოეწყოს სანერგე მეურნეობა. ვფიქრობ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია იზრუნებს ამ დიდად მნიშვნელოვანი საქმის ფინანსური უზრუნველყოფისათვის.

ვახტანგ მაკერვალი,
ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მეცნარეთა დაცვის განყოფილების გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

კრიმინალი

წლეულს უცხოეთიდან 70-მდე ძებნილი ჩამოვიყვანეთ

ბასულ კვირას შინაგან საქმეთა სამინისტრო, მისი ხელმძღვანელები და ოპერატიული სამსახურები კვლავ მოექცნენ საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში, ამჯერად ფრიად პოზიტიური კუთხით. მოხდა ის, რასაც ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე მოსახლეობა სამართალდამცავებისგან დაფინებით ითხოვდა: არა მარტო ფულის გამოძალვის მიზნით გატაცებულთა უსაფრთხოდ გათავისუფლებას (რაც უმეტეს შემთხვევაში კეთდებოდა კიდეც), არამედ გამტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფების, მათი ლიდერების გამოვლენასა და დაკავებას.

ᲧᲔᲠ ივნისის შუა რიცხვებში დაიკავეს ცნობილი კრიმინალისა და „ნარკობარონის“, აწ გარდაცვლილი ვეფხია ჩოფანაშვილის დანაშაულებრივი დაჯგუფების ხუთი წევრი, რომლებიც იმხილებიან ფულის გამოძალვის მიზნით რამდენიმე ადამიანის გაგაცებაში, შემდეგი – 23 ივნისს მოსკოვში ქართველი და რუსი სამართალდამცველების საერთო ძალისხმევით შეიპყრეს პანკისის ხეობასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი ბანდიტური დაჯგუფების ორგანიზაგორი და მეთაური შოთა (მეველუდ) ჭიჭაშვილი. მას ბრალი ედება 18 უმძიმესი დანაშაულის ჩადენაში, მათ შორის 1999 წლის იანვარში საგარეჯოს რაიონის პოლიციის ინსპექტორის მაზა ქურხულის მკვლელობაში, რამდენიმე პოლიციელისა და მშვიდობიანი მოქალაქის დაჯრაში, 1997-2001 წლებში საქართველოში განხორციელებული ადამიანის გაგაცების თითქმის ყველა გახმაურებული დანაშაულის ორგანიზებასა და შესრულებაში, მათ შორის პანკისის ხეობაში წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლების, ესპანელი ბიზნესმენების, ევროსაბჭოს ეკონომიკური ექსპერგის პიგერ მოუს, პარლამენგის წევრის პეგრე ცისკარიშვილის გაგაცებაში, არსებული ოპერაგიული ინფორმაციის თანახმად, იგი მონაწილეობდა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულშიც. აგრეთვე, იარაღის უკანონო მოპოვებასა და გადაზიდვაში.

შოთა ჭიჭაშვილის დაკავებიდან მეორე დღეს პანკისის ხეობაში შეიპყრეს მისი ბანდის კიდევ ოთხი წევრი, რომლებიც იმხილებიან ფულის გამოძალვის მიზნით ეურნალისგ გიგა ზაალიშვილის, ბიზნესმენ გონგაშვილის, რუსეთის მოქალაქე მაკიევის გაგაცებაში, სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენაში.

სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე შს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა განაცხადა, რომ პანკისის ხეობაში ადამიანის გაგაცების თითქმის ყველა შემთხვევა უკვე გახსნილია, პოლიციას აქვს დამამიმედებელი ოპერაგიული ინფორმაცია ხეობაში გაგაცებული ბერის – მაჩიგაძის შესახებ, იგი ცოცხალია და ყველაფერი კეთდება მის გასათავისუფლებლად.

საზოგადოებრიობამ ალბათ საჭიროა იცოდეს, რომ სპონგანურად, ერთი ხელისგაკრით არ მოიხდარა უადრესად სამშიბოროგმოქმედთა დაკავება, რომელთა დანაშაულებრივი ქმედებების გამო მარალდებოდნენ არა მარგო ცალკეული ადამიანები, არამედ კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდა მთლიანად საზოგადოების და მისი თითოეული წევრის უსაფრთხოება, სერიოზულად შეელახა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიგეგი.

მინდა მკითხველს გავახსენო 2001 წლის ბოლო თვეები. შს მინისგრად კობა ნარჩემაშვილის დანიშვნისთანავე მკვეთრად განისაზღვრა ამ ორგანოს შუამაობის სგრაგეგია და საქმიანობის პრიორგეგული მიმართულებები. ამ მიმართულებებს, ერთი შეხედვით, პირდაპირი კავშირი არ ჰქონია პანკისის ხეობაში განვითარებულ მოვლენებთან, მაგრამ 23 ივნისს სწორედ საერთო ძალისხმევით ბოლოს დაედო შოთა ჭიჭაშვილის დაკავება. შს მინისგრმა კობა ნარჩემაშვილმა განსაკუთრებული მადლიერებით აღნიშნა რუსეთის ფედერაციის შს მინისგრის ბორის გრიზლოვისა და ყაზახეთის შს მინისგრის კაირბეგ სულეიმანოვის წვლილი საშიში ბოროგმოქმედის დაკავებაში.

შს სამინისგროს სგრაგეგიასა და საქმიანობის პრიორიგეგულ მიმართულებებში, განსაკუთრებული ადგილი უკავია საზღვარგარეთის ქვეყნებთან, აგრეთვე, ინგერპოლთან სამართლებრივი ურთიერთობების გაფართოებასა და გაღრმავებას, კერძოდ, მიმალული ძებნილების გამოვლენასა და დაკავებას.

ამასთან დაკავშირებით, ფრიად საინგერესო ინფორმაცია მოგვაწოდა შსს სისხლის სამართლის სამმებროს მთავარი სამმართველოს ძებნის სამმართველოს უფროსმა პოლიციის პოლკოვნიკმა გივი მღებრიშვილმა:

– წლეულს 5 თვეში საზღვარგარეთის ქვეყნებში დაკავებულია 69 ძებნილი, მათ შორის 9 იმხილება მკვლელობაში, 20 – ყაჩაღობაში, 6 – სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გაქცევაში. ბოლო ერთ თვეში ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზარდა, რუსეთში მოხდა 50 ძებნილის დაკავება, უკრანაში – 5, აზერბაიჯანში – 4, ყაზახეთში – 3, სომხეთში მიმალული 2 ბოროგმოქმედის შეპყრობა, თითო ქართველი ძებნილი დაკავებულია ავსგრიასა და ბულგარეთში. თავის მხრივ საქართველოს შს სამინისგრომ დაკავება სხვადასხვა ქვეყნის მიერ ძებნილი 10-მდე ბოროგმოქმედი.

შს სამინისგროს პოზიცია ასეთია: დამნაშავეებასთან ბრძოლის ქმედითი ღონისძიებების განხორციელებით ქვეყანაში გაუმჯობესდეს კრიმინოგენული ვითარება, რაც, გარდა ყველა სხვა სიკეთისა, ხელშეწყობი ფონი იქნება მომავალი საპარლამენგო არჩევნების შეიდობიანან, შესაბამისი საზოგადოებრივი წესრიგის ვითარებაში ჩაგარებისათვის.

ვალერიან გოგოლაშვილი.

მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტი აცხადებს მიღებას

ერთწლიან მაგისტრატურაში მოდულით „მასმედია და საზოგადოება“

2003/2004 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

- **ᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ (ᲞᲠᲔᲡᲐ, ᲠᲐᲓᲘᲝ-ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ);**
- **ᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝᲠᲝ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ;**
- **ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ;**
- **ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲝᲚᲝᲒᲘᲐ;**
- **ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲪᲕᲝᲓᲔᲑᲘᲡᲝᲑᲐ;**
- **ᲔᲜᲐ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ;**
- **ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲐ;**
- **ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ;**
- **ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ.**

მაგისტრატურის ამ კურსების მიზანია, მოამზადოს ინტეგრირებული ცოდნის მქონე კომპლექსური კვალიფიკაციის კადრები, რომლებსაც ათვისებული ექნებათ ჟურნალისტიკასა და სახოგადოებრივ მეცნიერებებში აპრობირებული თეორიული ანალიზისა და ემპირიული კვლევის ტექნოლოგიები სპეციფიკურ – მასმედიის სახოგადოების სხვადასხვა სფეროსთან მიმართების – კონტექსტში.

საქართველოში ინერგება დასავლური გამოცდილება – პირველად იქმნება ჟურნალისტიკასა და სახოგადოებრივ მეცნიერებებში სინთეზური სწავლებისა და კვლევის პრეცენდენტი. მომავალში ეს უნდა გახდეს ხელშეწყობი ფაქტორი იმისათვის, რომ საქართველო გახდეს საერთაშორისო სასწავლო სივრცის ნაწილი. შესაბამისად, გაიზრდება მოთხოვნილება კომპლექსურ, ინტეგრარული პროფილის სპეციალისტებზე, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

მაგისტრატურაში დაიშვება ყველა ლიცენზირებული უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. დიპლომისა და დიპლომის დანართის ასლები
2. ორი ფოტოსურათი 3/4
3. ავტობიოგრაფია (CV)
4. სარეკომენდაციო წერილი (უმაღლესი სასწავლებლის სპეციალობის კათედრიდან, რომელიც დაამთავრა).

მიღების წესი:

მსურველების მიღება ხდება რეიტინგული სისტემით, რომელიც წარმოადგენს ქვემოთ ჩამოთვლილი სამგვარი ცოდნის შეფასების ქულათა ჯამს.

1. ტესტი ჟურნალისტიკასა და სახოგადოებრივ მეცნიერებებში (რაც გულისხმობს ზოგადი თეორიული ცოდნის შემოწმებას); ტესტი მოიცავს მცირე (200-300 სიტყვა) ესეს (წერის კულტურისა და ახრის გამართულად გადმოცემის შემოწმების მიზნით);

2. გასაუბრება/ინტერვიუ — კომუნიკაციური უნარებისა და ახრის არგუმენტაციის შემოწმებისათვის (ზეპირ გასაუბრებას ატარებს, სულ ცოტა, ორი ადამიანი);

3. ტესტი უცხო ენაში.

სპეციალურ კურსებს კურირებას გაუწევენ ქართული ლიტერატურისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლები, ტელეკომპანიების ჟურნალისტები, სახელგარგეთის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულნი. მომავალში გათვალისწინებულია ინსტიტუტის წარინებულ კურსდამთავრებულთა მომზადება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების მიხნობრივ ასპირანტურებში **მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის პედაგოგებად.**

სწავლის გადასახადი **450 $** ეკვივალენტი ლარებში.

საბუთების მიღება **1 ივლისიდან 15 სექტემბრამდე** მისამართზე: **მერაბ კოსტავას 14, IV სართული, ოთახი 19. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 11-დან 17 საათამდე.** აქვე გაეცნობით პროგრამებს და მიიღებთ დაწერილებით ინფორმაციას.

ცნობებისათვის დარეკეთ **93-35-99; 38-94-33 (საღამოს).**

კონსულტაციები იწარმოებს 1 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე.

ტესტირება ჩატარდება 16-30 სექტემბერს. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

გაიზიარეთ, იყიდეთ, იკითხეთ ზაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მხატვრული ტანვარჯიში

კვარცხლბეკზე უცვლელი მემადგენლობით



ქეთი სატიანოვილი

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა მხატვრულ განმოვარჯიშეთა საქართველოს პირველობა. ორ ასაკობრივ ჯგუფში 17 სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს ჯილდოებს. ასპარეზობის ორი დღე მრავალშოდში გამარჯვებულთა გამოვლენას დაეთმო.

უფროს ასაკში თავიდანვე ქეთი ბაკურაძე (მწვრთნელი ბელა კობალაძე) დაწინაურდა, რომელმაც ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა და 102,41 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა. საგულისხმოა, რომ ქეთი ბაკურაძემ ამას წინათ ბერლინში მსოფლიოს გრან-პრის ერთ-ერთ ეტაპზე იასპარეზა, სადაც საკვალიფიკაციო გურნირიდან ძირითადში მონაწილეობის უფლება მიიღო, იქ კი 30 განმოვარჯიშეს მორის მე-18 იყო. ყოველივე ეს იმედს იძლევა, რომ ნაჭიერი სპორტსმენი მსოფლიო ჩემპიონატგზეც იყოჩაღეს და ათენის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიას მოიპოვებს...

გამმარჯვებულს თითქმის რვა ქულით ჩამორჩა საქართველოს მხატვრულ განმოვარჯიშეთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ბათუმელი ვანდა კერესელიძე, რომელმაც საბოლოოდ მრავალჭიდში მესამე ადგილი დაიკავა. მას 4,9 ქულით თათია დონაძემ გაუსწრო.

უმცროსი ასაკის განმოვარჯიშეებს კარგა ხანია, ქეთი ხაგიამელის (მწვრთნელი ელისო ბედოშვილი) სახით გამოკვეთილი ლიდერი ჰყავთ. ნორჩმა სპორტსმენმა უპირატესობა ამ შეჯიბრებაზეც დაამტკიცა – ყველა საგნით თითქმის უმეცდამოდ იასპარეზა და მრავალჭიდში 91,21 ქულით პირველობაც ერგო. 14 ქულით ნაკლები (!) მოაგროვა ელენე გავარდაშვილმა, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა. 75,7 ქულით მესამე იყო თამუნა მიქაძე.

გუშინ საპრიზო ადგილები ცალკეული საგნებით ვარჯიშში გათამამდა. უმცროს ასაკში გრავმის გამო ქეთი ხაგიამელს არ უსაპარეზია, რამაც პირველობისთვის ბრძოლა უფრო გაამძაფრა სახგუნელათი და ბურთით ვარჯიშში თამუნა მიქაძემ (მწვრთნელი თამილა ტლამაძე) იმარჯვა. გურზებით პირველი იყო ლიკა ჯორბენაძე (მწვრთნელი ნინა მაქრაძე), ბაფთით ვარჯიშში კი ყველას ელენე გავარდაშვილმა (მწვრთნელი ინგა კიკვიძე) აჯობა.

უფროს ასაკში პრიზიორთა ვინაობა არ შეცვლილა. კვარცხლბეკის საფუძვლები მონაცვლეობით ბაკურაძემ (მწვრთნელი კობალაძე), დონაძემ (! მწვრთნელი გახლდათ ნანა ლონდარიძე, ამჟამად ელისო ბედოშვილი ავარჯიშეებს) და კერესელიძემ (მწვრთნელი ბედოშვილი) გაინაწილეს. რგოლითა და გურზებით ვარჯიშში პირველი იყო ბაკურაძე, ხოლო ბურთითა და ბაფთით – დონაძე.

– საქართველოს ნაკრების წევრების გამოსვლით კმაყოფილი ვარ, – მითხრა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტაგმა ელისო ბედოშვილმა. – რამდენიმე უნებლიე შეცდომას თუ არ ჩავთვლით, მათ მომმადების საკმაოდ კარგი დონე გამოავლინეს. ეს გვახარებს, რადგან 19-დან 29 სექტემბრამდე ბუდაპეშტში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიები გათამამდება. იმედია, ჩვენი გოგონები ელადის საგმურებისთვის იბრძოლებენ, მანამდე კი ბაქოში მსოფლიო თასის გათამამების ერთ-ერთ ეტაპზე გამოვლენ. ვეცდებით, იქაც წარმატებით ვიასპარეზოთ.



ქეთი ბაკურაძე

თამთა დონაძე

ვანდა დანელია.

რობერტ ბაბოიანის ფოტო.

ფეხბურთი

პირველად – „ოლიმპის“ თასზე

თბილისის საფეხბურთო აკადემია „ოლიმპია“ 1991 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა პირველ საერთაშორისო გურნირს უმასპინძლა, რომელშიც საქართველოს, ირანის, სომხეთისა და აზერბაიჯანის 16 გუნდი მონაწილეობდა. საგულისხმოა, რომ ირანელები დანარჩენებზე 2 წლით უფროსები იყვნენ. მიუხედავად, ამისა, ორგანიზაგორებმა ისინი მაინც დაუშვეს შეჯიბრებაზე, რითაც ისარგებლეს კიდეც ისლამური რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. ფინალში ირანელებმა თბილისის „ოლიმპს“ (მწვრთნელი მაზა ბაკურაძე) იოლად სძლიეს – 4:0. მთავარი პრიზი და ათასი დოლარი სტუმრებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენგმა მერაბ ჟორდანიამ გადასცა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში „შევარდენმა“ 4:1 მოუგო „საბურთალოს“.

პირველი საერთაშორისო გურნირის საუკეთესო ფეხბურთელების პრიზებით დაჯილდოვეს აფხაზავა („შევარდენი“), არველაძე („საბურთალო“), ქათამაძე, ფილია, ოქრიაშვილი, ივანიშვილი, გურეშიძე (ყველა – „ოლიმპი“), ილურიძე („ნორჩი დინამოელი“). საუკეთესო მეკარედ ირანელი მეხგი-ზადე მიჩნიეს.

ზოთა ჩიხლაძე.

სურათებზე: გურნირის გამარჯვებული და პრიზიორები; მერაბ ჟორდანია გელეევიზორით აჯილდოებს გიორგი ქბილაშვილს.

რობერტ ბაბოიანის ფოტო.

გურამ გაბისკირიას მემორიალი

მარშან შემოდგომით აიღო სგარგი საკავშირო კაგეგორიის მსაჯობა და ჩინებული მწვრთნელის სოსუმელი გურამ გაბისკირიას სსოვნისადმი მიძღვნილმა გრადიციულმა გურნირმა ფეხბურთში, რომლის ორგანიზაგორები იყვნენ აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია და სპორგის დამსახურებული ოსგაგის თენგიზ სულაქველიძის სახელობის აკადემია. შეჯიბრებაში 1990 წელს დაბადებულთა 24 გუნდი ჩაება.

ფინალში მონაწილეობის უფლება თბილისის კლუბებმა – „ნორჩმა დინამოელმა“ და „გრანდმა“ მოიპოვეს. დაძაბული მაგჩის ბედი ბექა გრძელიშვილის მიერ დინამოელთა კარში გაგანილმა ერთადერთმა გოლმა გადაწყვიგა. „გრანდის“ ფეხბურთელებს გარდამავალი თასი გადაეცათ. საგულისხმოა, რომ გამარჯვებულებმა მეგოქეთა კარში 65 ბურთი გაიგანეს, ხოლო საკუთარში მხოლოდ 4 მიიღეს. „გრანდის“ მოთამაშეს – შურაბ კიკაბიძეს საუკეთესო მეკარის პრიზი გადაეცა, ხოლო მისი თანაგუნდელი გაგო გვალია გურნირის საუკეთესო ნახევარმცველად აღიარეს.

შალვა ჩიხლაძე.

სურათზე: გამარჯვებული „გრანდი“.

რობერტ ბაბოიანის ფოტო.

ძალდრაკი

ფინალი შემოდგომით გაიმართება

საჭადრაკო კლუბ „ნგნ“-ის ინიციაგივითა და ოლიმპიური ფონდის დაფინანსებით რამდენიმე თვეა გრძელდება ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის თასის გათამაშება. ახლახან გაიმართა ქალთა შორის ბოლო შესარჩევი გურნირი, რომელშიც 5 დიდოსტგაი და რამდენიმე საერთაშორისო ოსგაგი მონაწილეობდა. 9 მესაძლებლიდან 8,5 ქულით პირველი ადგილი ნინო ხურციძემ დაიკავა. მას ქულახუვრით ჩამორჩა სოფიო გვეგაძე. 6,5-6,5 ქულით მესამე-მეხუთე ადგილები მაია ლომინეიშვილმა, ანა მთაწანძემ და სოფიკო ნიკოლაძემ გაინაწილეს. მთავარი ფინალისთვის ამ ხუთეულს დაემაგებიან ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე და საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი, 16 წლის ნანა ძაგნიძე, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ აზერბაიჯანში 20-წლიანთა შორის მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა.

ვაჟთა ანალოგიური შერჩევითი გურნირი 6 საუკეთესოს სექტემბრის დასაწყისში გამოავლენს. მათ შეუერთდებიან ევროპის ჩემპიონი ზურაბ აშმაიფარამვილი და საქართველოს ჩემპიონი ბაადურ ჯობაგი. მთავარი ფინალები შემოდგომით (რიცხვები მოგვიანებით დაზუსგდება) გაიმართება.

ლევანი ციცვაძე.

ოლიმპიადა

ბოლოს ბანკის ფინანსურ ანგარიშებზე

ეროვნული ბანკის ფინანსურ ანგარიშებზე ბოლო ინფორმაციას ბანკის ოფიციალური ინფორმაციის ბიულეტენი ავრცელებს. ბიულეტენში ბანკის ანგარიშებზე ინფორმაციის ბოლო ინფორმაციად 2002 წლის 1 ოქტომბერი ფიგურირებს. ეროვნული ბანკის ანგარიშებზე ინფორმაციის ბოლო ინფორმაციად 2002 წლის 1 ოქტომბერი ფიგურირებს.

**

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

ნინო რამიშვილი და ილია სუხიშვილი სტუმრად ავსტრალიაში ქალაქ სიდნეიში მცხოვრებ თელაველ კაცთან გრიშა დამბარაშვილთან (იგი ომის დროს ჩავარდა ტყვედ, შემდეგ ავსტრალიაში მოხვდა და იქ დამკვიდრდა). 1957 წელი.

ფოტო მოგვაწოდა რომან დავითაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ხურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

თარიღი

ნაზი შამანაური გაიხსენეს

„საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის“ წევრებმა ქართველი ჟურნალისტის ნაზი შამანაურის დაბადების დღე აღნიშნეს და ქართულ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენეს, „როგორი წამებითა და ცემით მოკლეს 1983 წელს თავისუფალი სიტყვისთვის ჟურნალისტი“.

როგორც საგანგებო პრესკონფერენციაზე ითქვა, ნაზი შამანაურმა 1982 წელს ჩარგალში, „ვეჟაობის“ დღესასწაულზე, დუშეთის რაიონის მაღალი თანამდებობის პირები თვითნებობაში და ბოროტმოქმედებაში ამხილა, რისთვისაც იგი დედასთან – სარა ინაშვილთან ერთად დაიკავეს. მათ იძულებითი მკურნალობა მიუსაჯეს თბილისის ასათიანის სახელობის ფსიქიატრიულ კლინიკაში.

ნაზი შამანაური საავადმყოფოში ყოფნისას, 5 თვის მანძილზე დღიურებს წერდა. მეოცე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, დღიურები წიგნად გამოიცა – „ჩემი სიმართლე ჩემი მტერია“.

ინტერ-პრესი.

ხსოვნა

თენგიზ ქვანია

სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტროსადგურების, ქსელებისა და სისტემების კათედრის გამგე, ახალგაზრდობის მრავალი თაობის აღმზრდელი, ჩვენი ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი თენგიზ ლავრენტის ძე ქვანია.

პროფესორი თ. ქვანია დაიბადა 1939 წელს ქ. თბილისში ექიმების ოჯახში. 1956 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ვაჟთა პირველი სამუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1962 წ. წარჩინებით დაამთავრა და მრომით საქმიანობას შეუდგა ელექტროტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში.

1964 წლიდან თავისი მოღვაწეობის შემდგომი პერიოდი ბატონმა თენგიზმა მთლიანად საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს დაუკავშირა, სადაც დირსეულად განვლო გზა ასისტენტობიდან პროფესორისა და კათედრის გამგის მაღალ თანამდებობამდე. 1966 წელს იგი მიელენილ იქნა მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც მაღალი ძაბვის ტექნიკის კათედრაზე საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერების – ა. დოლგინოვისა და დ. რაზევიგის ხელმძღვანელობით მოამზადა სადისერტაციო შრომა და 1970 წელს წარმატებით დაიცვა იგი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. დისერტაციის დაცვის შემდეგ თ. ქვანია დაუბრუნდა მშობლიურ ინსტიტუტს, სადაც „ელექტროსადგურების, ქსელებისა და სისტემების“ კათედრის უფროს მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. იმავდროულად ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ დაინიშნა. 1973 წელს თ. ქვანია მიელენილ იქნა კუბაში ლას ვილიასის პროვინციის ცენტრალურ უნივერსიტეტში, სადაც კითხულობდა ლექციებს „მაღალი ძაბვის ელექტრულ ქსელებში“, ხელმძღვანელობდა სამეცნიერო-მეთოდიურ სემინარებს, თავის დიდ გამოცდილებას უზიარებდა კუბელ კოლეგებს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თ. ქვანია 1975 წელს დაინიშნა „ელექტროსადგურების, ქსელებისა და სისტემების“ კათედრის მოადგილედ. 1982 წელს მას მიენიჭა დოცენტის წოდება და მიელენილ იქნა განმანიამი დარ-ეს-სალამის ტექნიკურ კოლეჯში ლექციების წასაკითხად. ამჯერადაც თ. ქვანიას სამეცნიერო-პედაგოგიურმა მოღვაწეობამ საზღვარგარეთ მაღალი შეფასება დაიმსახურა. 1984 წლიდან იგი კვლავ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აგრძელებს მუშაობას. 1989 წელს არჩეულ იქნა „ელექტროსადგურების, ქსელებისა და სისტემების“ კათედრის გამგედ, სადაც სიცოცხლის ბოლომდე იღვწა. 1993 წელს თ. ქვანიას მიენიჭა პროფესორის წოდება. 1995 წელს იგი საქართველოს ეროვნული ენერგეტიკის აკადემიის წევრად იქნა არჩეული.

უსადაგებელია პროფესორ თ. ქვანიას თავდადებული შრომა „ელექტროსადგურების, ქსელებისა და სისტემების“ კათედრის სასწავლო-ლაბორატორიული და სამეცნიერო-კვლევითი ბაზის განახლებისა და გაძლიერებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ღვაწი კოლეგებთან ერთად ენერგეტიკული სპეციალობების სტუდენტებისათვის სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის შექმნის საქმეში. გარდაცვალებამდე რამდენიმე წნით ადრე გამოიცა პროფესორ თ. ქვანიას სახელმძღვანელოები დისციპლინებში: „მაღალი ძაბვის ტექნიკა“ და „ელექტრულ სისტემებში ელექტრომაგნიტური გარდამავალი პროცესები“, რაც სტუდენტებისა და სპეციალისტებისათვის სამაგალო წიგნებად იქცა. პროფესორ თ. ქვანიას ლექციები მაღალი პროფესიული ოსტატობის ნიმუში იყო. იგი თავისი დახვეწილი ინტელიგენტობითა და უბადლო ერუდიციით ხიბლავდა სტუდენტობას და ამით უდიდეს პატივისცემას და მოწიწებას იმსახურებდა. პროფესორი თ. ქვანია ენერგეტიკოსთა მრავალი თაობის აღმზრდელი იყო. იგი დაუღალავად იღვწოდა ელექტროტექნიკური მეცნიერების განვითარებისათვის. ბატონი თენგიზი 40-მე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი გახლდათ.

წვავდა ჩვენგან კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი, რომელმაც მთელი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი უმურველად გაიღო ახალგაზრდობის აღზრდისა და მეცნიერების განვითარებისათვის. პროფესორ თენგიზ ქვანიას ნათელი სახე და თავდადებით ნამოღვაწარი დიდხანს ემახსოვრებათ მის კოლეგებსა და აღზრდილებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

ხსოვნა

აჩიკო პატარიძე



გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, ღირსების ორდენის კავალერი, საკურორტო საქმის უბადლო მცოდნე, ჯანმრთელობის დარგის მესანიმნავი ორგანიზაგორი აჩრჩილ პატარიძე.

მეგობრის დაკარგვით გამოწვეული სევდა და ტკივილი სანდაზმულ ასაკში უფრო მწარე ყოფილა, რადგან ემშვიდობები ადამიანს, რომლის მხარდამხარ მრავალი ათწლეული გამოგიელია, ერთი გაჭირვებითა და სიხარულით გიცხოვრია. მით უფრო გიმძიმს, თუ ეს ენერგიულ, სიბრძნითა და ნებისყოფით, იუმორით, ერთგულებით, ოპტიმიზმით სავსე ადამიანს ეხება, ადამიანს, რომელიც მიუხედავად ადრეულ ასაკში მრავალი გაჭირვებისა, არასოდეს უკან არ იხევდა. ასეთი იყო აჩიკო პატარიძე, რომელიც მამის – გამოჩენილი ქართველი ეროვნული მოღვაწის, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ელისე პატარიძის ჭეშმარიტი მამულიშვილობის გამო დედასთან, მეუღლესთან და მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად შუა აზიაში გაასახლეს. სამშობლოში დაბრუნებული ჩვეული უმრეგი ენერგიითა და ხალისით შეუდგა დანგრეულისა და დაკარგულის აღდგენას. აჩიკო პატარიძემ სახელი გაითქვა, როგორც ორგანიზაგორმა, საკურორტო საქმის უბადო მცოდნემ. მის სახელთანაა დაკავშირებული საქვეყნოდ ცნობილი საირმის ჯანმრთელობის ერთ-ერთ საუკეთესო კერად ჩამოყალიბება, სოფლის მეურნეობის მუშაკთა დასასვენებელი და სამკურნალო ცენტრების შექმნა წყალტუბოში, ლიკანში, ურეკში, ბობოყვათში, საქართველოს სხვა კუთხეებში.

მუდმივად საქმით დაგვირთულს დროის განაწილების საოცარი უნარი ჰქონდა. არასოდეს გამოკლებია თავის დიდ სამეგობროს, იგი ადამიანთა ამ გამორჩეული საკრებულოს ერთ-ერთი თავკაცი და სულისჩამდგმელი იყო. არჩილ პატარიძემ არაჩვეულებრივი ოჯახი შექმნა. მისი ქალ-ვაჟი შესანიშნავ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ და თვითონაც მშობლების მაგალითზე ნამდვილი ქართული ოჯახების შექმნა შეძლეს.

აჩიკო განსაკუთრებით მურძნობაარე ადამიანი იყო. შეუძლებელია სიტყვით გამოითქვას მისი განცდა და ბედნიერება, როცა არცთუ ახალგაზრდა ასაკში ჯერ კიდევ უცნობ საფრანგეთში მამის გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგომ თავის დუბსა და ძმას შეხვდა. ეს დიდი სიხარული არჩილმა სიცოცხლის ბოლომდე აგარა და ღირსეული ძმობა გაუწია მათ.

ადამიანი, რომელიც მეგობრებისათვის იყო დაბადებული, იმიარებდა ყველას გაჭირვებას, სიხარულს, ჩვეული იუმორით ახალისებდა ახლობლებს, სამაგიეროს კი არასოდეს ითხოვდა, თუმცა სიყვარული და პაგივისცემა მას არასოდეს დაკლებია.

ახლა კი მივაციელით მას – თბილს, ტბილს, ვაკკაცურს, მოამაგეს. მიდის ის, ვინც ესოდენ ღირსეულად და ლამაზად განვლო არცთუ იოლი, მაგრამ ღირსეული ცხოვრების გზა. აჩიკო პატარიძე პირნთალი ემშვიდობება თავის ქვეყანას, ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს.

ჩვენს რიგებს გამოაკლდა გამორჩეული, კოლორიტული პიროვნება, სულით და ხორციი ინტელიგენტი, კეთილშობილი მეგობარი, რომლის ხსოვნაც მუდამ დარჩება მისი მეგობრებისა და ახლობლების გულში.

ჩვენო აჩიკო, მსუბუქი იყოს შენთვის ასე საყვარელი ქართული მშობლიური მიწა.

ახლობლები, მეგობრები.

ფრანც ბროუჩეკი

მიმდინარე წლის 3 ივლისს, ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის ანალიზური ქიმიის კათედრის გამგე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ფრანც ბროუჩეკი.

საქართველოს ტექნიკურმა ინტელიგენციამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა.

ფრანც ბროუჩეკი იყო საერთაშორისო დონის მეცნიერი. იგი 140-მდე შრომის ავტორია, რომელთა შორის 3 მონოგრაფიაა და 4 სახელმძღვანელო ქრომატოგრაფიაში. მისი არაერთი ნაშრომი გამოცემულია საზღვარგარეთის ჟურნალებში და ციტირებულია სხვადასხვა მეცნიერების მიერ.

ფრანც ბროუჩეკის ხელმძღვანელობით დაცულია 14 საკანდიდატო და ერთი სადოქტორო დისერტაცია.

ქრომატოგრაფიასა და ანალიზური ქიმიის დარგში წარმატებით ჩაგარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ფრანც ბროუჩეკი მთავრობის მიერ დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ფ. ბროუჩეკი ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან ერთად, ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. სხვადასხვა დროს იყო ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს პირველი სწავლული მდივანი; ჟურნალ „მაცნეს“ ქიმიის სარედაქციო კოლეგიის სწავლული მდივანი; საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ქრომატოგრაფიის მიმართულებით იონგაცვლითი მასალების და მემბრანული პროცესების სექციის სამეცნიერო საბჭოს წევრი; ინსტიგუტის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს სწავლული მდივანი; რესპუბლიკის ქრომატოგრაფიულ ცენტრთან არსებული ქრომატოგრაფიის სამეცნიერო საბჭოს წევრი; რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ქიმიის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრი. უფაკულტეტის დეკანის მოადგილე პროფ. ფ. ბროუჩეკი იყო საქართველოში ჩეხთა სათვისტომოს – ბლატა პრაღის საპატიო პრეზიდენტი და საქართველო-ჩეხეთის ურთიერთობის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

ფ. ბროუჩეკი რესპუბლიკის სამეცნიერო-ქიმიურ საზოგადოებაში სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით და პატივისცემით. რესპუბლიკის ქიმიურმა საზოგადოებამ მისი სახით დაკარგა მაღალკვალიფიციური პედაგოგი, მესანიმნავი აღმზრდელი, ერუდირებული მეცნიერი, კომუნიკაბელური პიროვნება, რომელიც საუკეთესოდ ათავსებდა თავის ძირითად პროფესიულ მოვალეობას საზოგადოებრივ საქმიანობასთან.

მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი; ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი; ანალიზური ქიმიის კათედრა.

ღიმილის დოზა

— გმადლობთ კეთილი სიტყვებისათვის! — არაფრის! — წამომცდა.

* * *

— რეგორ დავანებო თავი სიგარეტის მოწევას? — ორივე მხრიდან მოუკიდეთ ცეცლი.

* * *

დაბამზადა ოსტატმა მეფე-ზარი. მოვიდა საგადასახადოს ინსპექტორი და 13 პროცენტი დღგ მოტეხა.

მართალია, ზარი აღარ რეკავს, სამაგიეროდ ყველაფერი კანონიერად გალეფდა.

* * *

კლავიატურაზეც ვაკვა ვირუსმა დაღვარა?!

* * *

— ჩემამდე კაცები გყავდა?

— რას ამბობ, არა, თქვა ქალმა და თვალები მორცხვად დახარა.

— მე მყავდა, — უპასუხა ბიჭმა.

* * *

პაციენტო, მეასედ გეუბნებით, — ამწუხიას ჩვენ არ ვმკურნალობთ!

* * *

დიდი ფული სრწნის ადამიანს, ცოტა ფული — ამწარებს. მინდა ბევრ-ბევრი საშუალო ფული.

* * *

გაზეთებიდან. „მეძავობას დრო და დრო მისდევს, ისიც მხოლოდ პენსიისათვის დანამატის სახით“.

* * *

განცხადებიდან: — „უმუშევრობისათვის შეწევნის თანხა იმდენად მცირეა, რომ მზად ვარ, დავიწყო მუშაობა“.

* * *

განცხადება: „ვიდეოკასეტებს პირადი კოლექციიდან ვცვლი არავზე — ერთი ერთზე!“

* * *

— იცით, რატომ აქვს წაწვეტებული ძირი სანანძრო ვედროებს?

— არა.

— იმიტომ, რომ ხანძრის დროს მეხანძრეებმა, იმის ნაცვლად, წყალი რომ მოარბენინონ, სიგარეტის წევა და ლაი-ლაი არ გამართონ.

* * *

გამოსასვლელი დღეები იყოფა:

— თავად გამოსასვლელი;

— დასასვლელებელი;

— გასასვლელი სამუშაოზე.

ავგორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყოს 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეგი მოცულობის სტატიები ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის პონორარი არ გაიცემა.

დედაძალაძე

გგადაგგა აპრეფილი ტკიგილები

თბილისმი გვიანობამდე სახლში არავინ ბრუნდებოდა. თბილისში ყველგან „შენი“ სახლი იყო.

თბილისი სუფთა, მოვლილი ქალაქი იყო, ირგვლივ ყვავლაფერი სიყვარულით სუნთქავდა...

ეს იყო გუშინ, გუშინწინ.

რა ხდება დღეს? ერთ დიდ, მგვრიან, ქაოგურ ბაზრობად იქცა ჩვენი დედაქალაქი.

დაბინძურებული ქუჩები, დამლის პირას მისული ძველი უნები, უთვალავი ორმო, ღრმული ასფალგზე, ბაზრობებში, უფრო ზუსგად, ძონძებში ჩაძირული მეგროპოლიგენის სადგურის ჩასასვლელები, სამინელი ანგასიანიგარია...

ყველა ეს ქათინაური მეგრო „სამგორის“ მიმდებარე ტერიგორიასაც ეკუთვნის. აქ, მუა გზაზე და, თუ გნებავთ, მეგრომი ჩასასვლელ კიბეზეც, შეგიძლიათ შეიძინოთ კვების ისეთი პროდუქტები, როგორიცაა პური, თევზი, ხორცი, კარაქი, ყველი...

მეგრო „სამგორის“ მიმდებარე ქუჩები, ალბათ, ყველაზე მოუვლელი და ყველასგან მივიწყებული ადგილია დედაქალაქში. არსად ისეთ მდგომარეობაში არ არის გზის საფარი, როგორც სამგორის რაიონში. ეს გახლავთ გზა, სადაც ყოველი მძღოლი და მგზავრი გინებით აიელის და ჩაივლის. ისმის გაუთავებელი უკმაყოფილება: უამრავ გადასახადს ვიხდით, სად მიდის ეს ფული?, ნუთუ, ქალაქის ბიუჯეგს მეგის გაკეთების სამუალება არა აქვს?

მოსკოვის პროსპექტის ეს მონაკვეთი, მეველის ქუჩა და სხვა, ის ადგილია, სადაც ფეხით გავლაც კი ნერვების ფასად გვიჯდება.

„თქვენსკენ არჩევნები არ ყოფილა? – მაყორიგარი დეპუტატი არაფერს გპირდებოდათ?“ – ხუმრობს ვიღაც...

იმედი გვქონდა, მაგრამ... მომდევნო არჩევნებიც მოვიდა და ამ გზის საფარის შეკეთებაზე მაინც არავინ მრუნავს.

არის მხოლოდ ორად ორი კაცი, რომლებიც ამ გზაზე 20 თეთრიანების ხათრით მუშაობენ. მათ სისხამ დილით შენიშნავთ ნიჩბებით და სათლებით ხელში, ყოველი მძღოლისგან მიღებული 20 თეთრის საფასურად მიწას ყრიან ღრმულებში.

კი მაგრამ, მიწა რას უშველის ამ უგარმაგარ ორმოებს?

ეკა ესპართია,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.
ლევან ლომაძის ფოტო.

ვემთხვევა

ერთი მოკლეს, ორი მძევლად აიყვანეს

ამ ბოლო ხანს კაცთკვლა გახშირდა. 3 ივლისს წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინომი ჯერ კიდევ დაუდგენელმა პირებმა (ისინი ექვსნი ყოფილან) ავგომაგური იარაღით მოკლეს 27 წლის დავით აბრალავა, ხოლო მასთან მყოფი მუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუამის მცხოვრებები რობერგ ნაჭყეპია და ჯემალ შურაბიანი მძევლად თან წაიყვანეს.

ეს გრაგედია ელვის სისწრაფით განხორციელდა, მისი ავგორებიც თვალის დახამხამებაში გაუჩინარდნენ.

მომხდარ ფაქგზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც იძიებს წალენჯიხის პროკურგატურა. უამრავი ვერსიიდან ერთის გამოყოფა შეიძლება. ამას წინათ შუგდიდ-წალენჯიხის გრასაზე ჩაცხრილეს ნუგბარ და რობერგ ზარანდიები და მამუკა გვაბავა, რომელთა მკვლელობაში აბრალავა, ნაჭყეპია და შურაბიანი სახელდებიან. ვნახოთ, გამოძიება რას დაადგენს.

ოდიკ ძუხილავა,
„სრ“ საკ. კორ.

გამოიცა

ვინდათ სიმართლე იცოდეთ სცალიხზე? წაიკითხეთ ეს წიგნი

ჩვენში ახალგაზრდობამ არ იცის, ვინ იყო სტალინი – გენიოსი, უდიდესი მსოფლიო პოლიტიკოსი, მილიონების ბედნიერებისათვის თავდადებული მებრძოლი, უდიდესი მხედართმთავარი, კეთილი, პრინციპული, ხან დაუნდობელიც და ამავე დროს შემწყნარებელიც თუ ჯალათი, სისხლისმღვრელი, ბოროგი.

ერთ-ერთი ნაშრომი, რომელიც ამ ხარვეზს შეავსებს არის საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის გამგის, პროფესორ **ნოდარ ბარამიძის** წიგნი **„ფსიქოლოგიური პორგრეგები“**, რომელიც ახლახანს „გამომცემლობა აჭარამ“ გამოსცა.

წიგნის ავგორი დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით გვიჩვენებს სგალინის ნამდვილ სახეს, ნათელს ჰფენს მისი მოღვაწეობის მახასიათებელ ცალკეულ ელემენგებს.

წიგნში ნაჩვენებია, თუ როგორ უწყობდა ხელს ლენინი და ახალისებდა, აქეზებდა და მოითხოვდა მასობრივი გერორის განხორციელებას, ყოველგვარი გამოსვლების სისხლში ჩახშობას. იგი თანამებრძოლებს, რუსეთის სხვადასხვა ოლქის ხელმძღვანელებს, სახალხო კომისრებს მოუწოდებდა სისხლში ჩაეხშოთ კულაკთა გამოსვლები, წაერთმიათ მათთვის მთელი პური მარგგი. ჩამოეხრჩოთ მეთაურები, აეყვანათ და ყოველგვარი იდიოგური აურზაურისა და საქმის შედეგი გაჭიანურების გარეშე დაეხვრიგათ მძევლები.

წიგნის ავგორი სათანადო მასალებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ პარგიის და სახელმწიფო მოღვაწენი უშუალოდ მონაწილეობდნენ და ხელმძღვანელობდნენ პარგიულ და სახელმწიფო მოღვაწეებზე თავდასხმებს. ჰქონდათ თვით სგალინზე თავდასხმის მცდელობაც.

ლენინის უშუალო განკარგულებით მოხდა ნიკოლოზ მეფის ოჯახის მთლიანად ამოწყვეგა, მეფის ავადმყოფი შვილის ჩათვლით. მისივე განკარგულებით დაიხვრიგნენ საეკლესიო პირები.

წიგნი ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა სგალინის პიროვნებით დაინტერესებულთათვის, მათთვის, ვისაც სურს სწორი წარმოდგენა ჰქონდეს სგალინზე და მისი ეპოქის პოლიგიკურ ცხოვრებაზე.

ავირან დავითაძე,
ნოე გელაშვილი.

რედაქციის მაღლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაგ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ გელაშვილი, გურამ გოგბაიშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „ალლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი 20.

**ბეჭდვა, ფოტოგადაღება, ასლი, ფაქსი, ელ. ფოსტა, ინტერნეტ-კავშირი, ინფორმაციის ძებნა, ტექსტის ანაწყობი, ფოტოალბომი, ფოტოჩარჩოები, ფოტოაპარატი, ვიდეოკამერა, ვიდეოფილმი, ბეჭდვა ფერადი ფანქრებით, ბეჭდვა ფერადი ფანქრებით ფოტოზე, ბეჭდვა ფერადი ფანქრებით ფოტოზე ტილოზე, ბეჭდვა ფერადი ფანქრებით ფოტოზე ტილოზე ჩარჩოში, ბეჭდვა ფერადი ფანქრებით ფოტოზე ტილოზე ჩარჩოში ფერადი ფანქრებით, ბეჭდვა ფერადი ფანქრებით ფოტოზე ტილოზე ჩარჩოში ფერადი ფანქრებით ... ...